

რედაქცია: სოლოლოვსკი, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროжба“.

გაზეთის ფასი: თბილისში—8 მან., 5 ხევარ წლით—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

საქართველის ღირსშესანიშნაობა

განცხადება: მიიღება კოთხუჯს, რუსულს, სომხურს...  
ფასი განცხადების: რუსულს ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბუქვით გამოგზავნილი სტატიები. დაუბუქვლი სტატიები ავტომატურად აღ-ღება.

## რედაქციისაგან

რადგან გაზეთის-დამტარებელი ავით გაგვიხდა, ამის გამო ზოგიერთ მაღაქის ხელის-მომწერლებს უკანასკნელი ორი ნომერი თავის დროზე ვერ მიუღებდათ. ბოდიშს ვიხდით ხელის-მომწერლებთან ამ უნებლიე შეცდომისათვის. ღვს ყველას ვგზავნება დანაკლისი ნომრები და შემდეგ ისევ თავის დროზე მიუერთ.

## პირველი მენაინსთვიდან

ამ მდგომარეობაში ფლის დამდგამი

# „დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი მენაინსთვიდან ფლის დამდგამი—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თვლი-ლისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩა-ზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

მაღაქის გარეშე პირთა ამ აღ-რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типо-графіи. Въ редакціи газетъ „Дрожба“.

## საქართველო

### მცხეთობა (სამეტი-სომხობა)

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავა-ლობაში ჩვენ თითქმის მუდამ წელიწადს დავდივართ ამ დღეს მცხეთობაზე; მაგ-რამ აძლენი ხალხი არასოდეს არ გვიჩა-ხავს, რამდენიც წელს იყო. თითქმის მთელი მაღაქის ვაჭრობა, ქართველობა, ბევრი რუსი და სხვა რუსულის ხალხიც მიაწყდა ამ დღესასწაულზე. პანტო კი, მგონი, ერთიც აღარ დარჩენილა მაღაქ-ში. დიდ-ძალი სოფლები აგრეთვე, რომელთაც ჩვეულებრივად ურძებით მოეყვანათ თავიანთი ცალ-მეილი.

ომიანობისაგან შესვენებულს ხალხს, ეტყობოდა, ქვიფი, მხიარულობა უნდო-და..

მაგრამ ჩვენი რკინის გზის გამგებამ წავგაძაწა ქვიფიც და მხიარულობაც. ამისთანა უწყობა არ გაგონილა; ყო-ველ წელიწადს არის ამაზედ ყოველის მხრით ჩივილი, მაგრამ რკინის გზის გამგებმა ყურსაც არ იბერტყა, თითქო-ბის არ შეეხებოდა.

ვერ აქედამ წასვლაზედ ვინ ჩამოთვ-ლის რამდენი უწყობა და როგორი უთაებრობა იყო მთელის სტანცია-ზე, ბილეთების აღების დროს: მესამე კლასისათვის სამი კასა იყო გამართ-ლი; მაგრამ სამი კასა რას გაუფილოდა იმ უანგარიშო ხალხს, რომელიც შეჯ-გუფული იყო სტანციაზე. ძალიან გაუ-ჭირდება განა გამგებებს, რომ, სამის ძავერად, ამ დღეს ათი კასა გამართოს მესამე კლასისათვის! იყო ერთი გვერ-დების მტერევა, წიწვა-გლეჯა და ყვირი-ლი ყველა კასებთან. ბილეთებს ჰგლეჯ-დნენ ერთმანეთს, ტანისამოსს აფხრეწ-დნენ, ჩხუბდნენ თავ-პირს ამტერე-დნენ.

ამაზე ნაკლები უწყობა არც მეო-რე და პირველი კლასის კასებთან იყო. ამ ორი კლასისათვის მხოლოდ ერთი კასა იყო და, რასაკვირვლია, ეწრო-ობა და უწყობა იკნებოდა.

ხურდას თითქმის არავის აძლევდნენ. მაგრამ ხურდამ თქვენი ჭირი წაიღო: დიდს ვაჭარებთ, ოფლია ღვინო და გვერდების ჩაღწევით ძელიეს-ძელიეს როგორც იყო ბილეთი იშოვნე; ახლა ვაგონში დასაჯდომი ადგილი არ გინდა! მივირის, რომ ვაგონებში შესვლის დროს არაფერი უბედურება არ მოხდა და რამდენიმე კაცი არ გაიქცლიტა, ისე-თი წიწვა-გლეჯა იყო. რამდენს დეკარ-გა ტყუილ-უბრალოთ ფული; ბილეთები ჰქონდათ და ადგილი კი ვეღარ ეშო-ნათ ვაგონში. მართი მოხუცებული სო-მხის ქალი დამდგარიყო კასასთან და გამწარებით ღრიალებდა: „მაი, ქა, ამის-თანა იქნება! ბილეთი მიყიდნია, ოთხი მანეთი ფული მიმიცია და ვაგონში ად-გილს კი არ მაძლევენ! მიჩივლებ! მი-ჩივლებ. უნდა მზეს!“

ბევრი ამისთანა „მიჩივლებ! მიჩი-ვლებ!“ დარხარჯა გუშინ და რამდენმანც სთქვა, თუ მართლა იმის მეთაველა შეი-ტანა საჩივარი, დარწმუნებული ვართ, რომ ამ საჩივრებით გაივსება რკინის გზის გამგებების ზალა.

მს იქითობა. რაც აქეთობას, მცხე-თის სტანციაზე მოხდა, იმის აწერა არ შეიძლება. მესამე კლასის ბუდეები კი-ნალამ ისე მთელ-მთელად არ აიღო ხალხმა. მეორე და პირველ კლასის კასას თითქმის ყველა ფანჯრები ჩაუ-ტყრიეს. ძაცებს (ქალები როგორ მიბე-დავდნენ ახლოს კასებთან) გულს ეყრე-ბოდათ, დროფლიანებული და დაკლე-

ვილ-დაფლეთილები გამოდიოდნენ კას-სილამ დაბილეთის შოვნა აქ, რასაკვირ-ველია, უფრო მომეტებულ გმირობად ჩაითვლებოდა, ვინცე მარსის აღება და მტრის ბაირალის ხელში ჩაგდება.

ამგვარ უწყობებს რომ ხედავდა ხალ-ხი რკინის გზის გამგებებისას, თვითონაც აღარ იქცეოდნენ რიგიანათ: უბილეთო-ები პირველ კლასის ვაგონში სხდებო-დნენ; ვისაც პირველი კლასის ბილეთი ჰქონდა, ისინი ან სულ რჩებოდნენ და ან მესამე კლასში ძლივს რის ვაი-ვაგლა-ხით ადგილს შოულობდნენ, ერთი-ერთ-მანეთს აჯდნენ, ბავშვები კინალამ გაქ-ლიტეს...

ნუ თუ არ არის საშუალება, რომ წესიერება დაცვას ჩვემა რკინის გამგე-ობამ ამგვარს შემთხვევაში? რასაკვირ-ველია, არის: მომეტებული ვაგონები და მომეტებული კლასები ბილეთის გასას-ყიდად.

ბუშინ, მცხეთას, მაღაქიდან ბევრი-ბევრი ათი-ხუთმეტი ათასი კაცი თუ იქნებოდა. ჩვენ გვიჩახავს, 40—50 ათა-სი კაცი და მეტიც მისდგომოდეს რკი-ნის გზის სტანციას, მარამ ყველაფერი წესიერად, რიგიანათ ყოფილიყოს.

ჩვენი რკინის გზის გამგებმა კი ყვე-ლიზე პირველად მხოლოდ იმას ჰფიქ-რობს, რომ რაც შეიძლება მომეტებუ-ლი ხალხი ჩასვას თავის ვაგონებში, რაც შეიძლება მომეტებული ფულები მოა-გროვონ ბილეთებისა და განსაკუთრებით შტრაფები იმათგან, ვინც უბილეთოდ ჩამჯდარა, და თუ ხალხი წვალობს, თუ სიამოვნების მაგიერად, ზოგს თავ-პირს ამტერევენ, ტანის-სამოსს უგლეჯენ და სხვა ამგვარები, მოხდება ყველა ეს ჩა-ლათაც იმას არ მიჩინია...

ამ უწყობების აწერამ გავეყოლია და თვითონ მცხეთობის დღესასწაულზე კი ჯერ ვერა ვთქვით-რა.

როგორც ზევით მოგახსენეთ, მოქე-იფე ხალხი ბლომათ იყო. მაგრამ უბე-დურება ეს არის, რომ მცხეთობა თან-და-თან უფერულად და ულახათოდ მიდის, ნამდვილი ძველებური, ქართვე-ლური ქვიფი და დროს-გატარება აღარ არის.

ყველა თავისთვის მოკუნჭულა სობო-როს გალავანში, ან გალავანს გარეთ სადმე, გაუშლია წინ სუფრა და მხოლოდ რამდენიმე კაცი ერთად შეეკცევა.

აღარ არის ერთად მხიარულება, ერ-თად დროს გატარება.



ამ მხრით იმერეთი სჯობიან ქართლს. იქ ერთად მაინც შექცევა ხალხი. ბურთის თამაში, ჯირითი, ჭიდაობა მაინც იციან ამგვარ ღღესაწაულობის დროს. აქ არც ეს არის: დაჯდება რამდენიმე კაცი და სვამს და სჭამს. ეს არის ქვეფი.

მაგრამ ამ ჯგრობით ჩვენ ერთმა რამემ დაგვატკბო და გვასიამოვნა მცხეთაში: ეს იყო ქართული გალობა, რომელიც ჩვენ გავიგონეთ იქ. რამდენიმე ახალგაზდა ქართველი, მომეტებული ნაწილი იმ წრიდან, რომელნიც უკანასკნელს ქართულ წარმოდგენაზე გალობდნენ, შეგროვილიყვენ, ერთად გაეტარებიათ იქ დროება და შემდეგ, როცა ცოტათი შექეფიანდნენ, ჩააღეს ერთმანეთს ხელი და ჩინებულის სახალხო სიმღერით ჩამოიარეს მთელი მცხეთა და საღამოს, ამავე სიმღერით, სტანციაზე წამოვიდნენ. ამათი „პეტანდილ გადინადირა“, „ქურდელი ჩამოწანწალდა“ და „თიშარ ძეფე და ხონთქარი“ საამურად გაისმოდა იმ ეკლესიის გალავანში. სასიამოვნო იყო, ძალიან სასიამოვნო ამგვარი გალობა, განსაკუთრებით „სერთუკიანებისაგან“ ნათქვამი....

ს. მ.

### დღიური

\* \* \* უშალღესი მთავრობის განკარგულებით, ამ დღეობისთვის 15-დამ რიონისა და პრევენის ატრიადები გაუქმებული იქნება და ამ ატრიადების უფროსების თანამდებობა აგრეთვე შტაბიც მოსპობილი. უკელა საქმეები ამ ატრიადებისა უნდა ვადაიცეს ძავეკასის არმიის სამაზრო შტაბში და არხივში.

\* \* \* ბაქას ვაზეთში იწერებინან, რომ იქაურ პოლიციას ამ დღეებში დაუჭერია რამოდენიმე კაცი, რომელნიც ყალბ ბილეთებს აკეთებდნენ და ასადებდნენო. სამ-მანეთიან ბილეთებს აკეთებდნენო, და პოლიცია კეთების დროს წავსწროვო. ხელით უკეთებიათ თურმე ბილეთები, მელნით უწერიათ უბრალო კალმით და ამიტომაც ისე უხეიროთ არის გამოყვანილი, რომ ძალიან ადვილად შეატყობს კაცი ყალბობასაო.

\* \* \* ბორილამ გვწერენ, რომ დღემდე ჩვენი მიყრუებული და მიძინებული ქალაქი, ახლა ცოტა წამოცოცხლდა, ცოტა მოძრაობა მოხდა. მა იმისი წყალობით რომ წასული ჯარი მოვიდა!... შოველ დღე აქ ცხენების ტორია. ამბობენ, რომ უშალღესი ბრძანება არის, გამოიძიონ ამ ომის დროს ომის ველზედ ვის რა საქონელი დაეხოცა და იმათ დაურიგონ თითო ცხენიო.

\* \* \* თუ როგორი საქმეები ხდება ჩვენს სოფლებში ჩაფრებისაგან და როგორ ექცევიან ისინი ხალხს, ამის საჩვენებლათ მოგვყავს სიტყვა-სიტყვით ეს „საჩივარი“, რომელიც საგარეჯოს მცხოვრებელთ შეუტანიათ ქალაქის მომრიგებელ მოსამართლესთან:

„ამა მდგომარესა წლის სექტემბრის 22 რიცხვში მოვიდა საგარეჯოში სოფ. ქალაურში მცხოვრებელი ახამბურის ჩადარი იოსები, და გამოგვიცხადა უფ. პოლიციის პრისტაის ნაცვალისა ბრძანება ბეგრის ურმებისა, და მერე შუადღისა შემდეგა იმავე დღესა დამთერალიყო ჩაფარი დენითა და მუშუნდა სახლშია პირველათ ჩვენგანსა საბრალო მოძმანაშვილსა და მაშინვე ჯერ მათრახათ დაუწყუო ცემა, მერე ამოიღო ხმალი; იმ დროს გაექცა მოძმანაშვილი. მერე მოძმანაშვილის სახლში მყოფთ დედაკაცებს გამოუღვა ხმლით, და დედაკაცებმა შექნეს ყვირილი და ტირილი. იმ დროს მე შორანაშვილი მივედი და დავეჭიერე ეს გაშფოთებული ჩაფარი და მერმე მომიბრუნდა ამოღებული ხმლითა და მეც გავიქეცი და მიველი ჩიქსა სახლშია. მერე მე მომიხდა ისევე ხმალ ამოღებული სახლშია, ხმალი შემოპკრა ინდაურსა და ინდაური მაშინვე მოკლა და აიღო ის ინდაური და დანარჩენებსაც დასდევდა მოსაკლავათა და ამ დროს მოვიდა ბრიგოლა დალიკაშვილი და უთხრა: შენ ინდაურები გინდა თუ ურმები და ამაზედ შემოპკრა ხმალი მკლავში ორსა ადგილასა და დამიჭრა ხმლითა ტანისამოსი; იმ დროს შეიყარა ხალხი, რომელთაც ნახეს ამ მთერალი ჩაფრის ბოროტ მოქმედება მაშინვე ხელიდგანა წაართვის ამოღებული ხმალი ეგრეთვე ხანჯალი, რომელსაცა ხმალს, ხანჯალსა და იმისგან დახოცვილს ინდაურსა და ქათმებსა ამ საჩივართან წარმოვადგენთ და გთხოვთ ამ საქმეზედა დანიშნოთ ჩინონიკი მოახდინოთ კანონიერი განკარგულება და მტყუანი. მხარე მისცეთ კანონიერს, სასჯელსა.“

(ხელ-მოწერილია)

ამას გარდა აქ ხსენებულ გლეხებმა გვიამბეს ჩვენ, რომ როდესაც ესენი წამოსულან თფილისში საჩივრელად, ამდროს ჩაფრები მიცივიწულან გლეხის დავით შორანაშვილის ძმის-წულთან, რომელიც მძიმე ავით მყოფიყოფილა და ლოგინში ეცემათ.

იქველი გვაქვს, რომ ყველა ამ უწყსობის გამოსაშკარებელად და დამნაშავეების დასასჯელად უფ. მოსამართლე ჯგროვან გამოძიებას მოახდენს.

### „დროების“ კორექსიონდენსია

ბათუმი, 25 სექტემბერს. ასეც ჩვენი ბათუმი! ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში სრულებით სხვა ფერი მიიღო, შეიცვალა; დღე-დღეობით ქალაქი სიწმინდეში და სისუფთავეში შედის.

ამ პატარა ქალაქში ამ ქამად ყოველ რჯულის ხალხს ნახავ; ყველა მოძრაობაშია, ყველა რაღაც ცაცა-ფუცშია, თითქოს ყველა აქ გაკეთებას ელოდეს. მარამ ყველასაგან ერთსა და იმავე საჩივარს გაიგონებ: სახლის სიძვირეზედ. მართლაც რომ აქ სახლის ქირა დაუ-

ჯერებელია. მაზეზა აქვე გვხვდება ჩვენი ნებური ვაჭრები, რომელნიც მიუღწევენ კალიასავეთ და შეიქნათ ბუჭრობა სახლებზე და ლუქნებზე.

მთელი ბათუმი სასტუმროებათ და ლუქნებად გაღიქვა; თითო თვალ ლუქანში ორმოცდაათ-თუქმანს აძლევენ, იმასაც წინდაწინ.

მართი სასტუმრო, რომელსაც სახელი არ წოდებია ჯერ, მურდი—ოღლის სახლებში, მხოლოდ ზედა სართულში, სადაც თორმეტი თვალი ოთახია და ერთი ზალო, იმასაც ქვის იატაკი უვია და არა ფიცრის, ოთახს თუმნათ აქვს ერთს ნაქარავები და ისიც ნახევარი ქირა ამთავითვე მისცა!

წარმოიდგინეთ ესლა-თუ რა მდგომარეობაში იქნებინან, ვინც სახლის უშოგრობით სასტუმროში დგას. მკრ მანეთს ქვეით ნომერს ვერ იშოვი, სადაც ერთი გატეხილი კრაოტი დგას, სამი სკამი და ფანჯრები დამტერებული შეუშებით.

რა ქნას სასტუმროს მასპინძელომა, თუ მდგმურების კისრიდან არ ამოიღოს? ბოთლი პივა, რომელიც თფილისში აბაზი ღირს, აქ ერთ მანეთად ისყიდება.

ზოგიერთ ოფიცრებს ცოლები მოადგნენ კარზე. რა ქნან თუ სასტუმროში არ დააყენონ!

სახლები კიდევ უფრო დაძვირდებოდა, ისრე შეემუშტრნენ ვაჭრები ერთმანეთს, მაგრამ ღმერთმა სიკეთე მისცეს აქაურ პოლიციმეისტერს უ. შურულს, დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში: ვაჭრებს მისცა საშუალება გააკეთონ დროებით ქოხები ცარიელ ადგილებზე და ივაჭრონ.

მართი უბედურება მოხდა აქ ამ დღეებში: მართი ტრაპაზონელი თათარი ვაჭრობდა. მკვი თუმნის სავაჭრო ქონდა; ლუქანს რომ ამისთანა ფასი დაედვა, გამოავდეს თავის ნაქირავებ ლუქნიდამ. ავთამყოფიც იყო; წავიდა თავის სავაჭროთი და დამოწნას ქვემ სარდაფში შეძერა. მაგრამ იქილამაც გამოავდეს. მამოჯავრებულმა იმედ-მიხრწნილმა ვაჭარმა ველარ მოითმინა ეს: ზღვაში ჩაეარდა და დაიღრჩო თავი.

მაგრამ ჩვენ პაფხაზებზე უსაცოდავეს ბათუმიში ვერას ნახავს კაცი: უსახლ-უქართო, მშვიერი, მწყურვალე ყრიან უმოწყალოთ ცოლ-შვილით.

დ. წ.

## უსხო ქვეყნები

ინგლისი

ლონდონის ვაზეთში „დაილი ნეუსში“ დაბეჭდილია შემდეგი დებემა ინდოეთიდან მიღებული:

„სვეგანისტანის მძირმა მხოლოდ იმიტომ შეაჩერა ინგლისის ელჩი, რომ ინდოეთის ვიცე-კაროლის წიგნზე პასუხი გარდასცეს იმას.



„ამბობენ, მძირკა სტევაო, რომ აღიშუსვიდის კამენდანტო, რომელმაც ინგლისის ელჩები გააჩერა და არ შეუშვა ავგანისტანში, ჩემდა-უნებურად და დაუკითხავად მოიქცაო და ამ საქმეში მე პასუხს არ ვაგებო. თუ ეს ამბავი გამართლდა, ამგვარი პასუხი მძირისგან ბოდიშის მოთხოვა იქნება და შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში ინგლისსა და ავგანისტანს შუა ბრძოლა არ მოხდეს.“

—ავგანისტანის მძირი, როგორც ეტყობა, ინგლისს შეუშინებია; ამას გვიმტკიცებს სხათა შორის ის გარემოება, რომ მძირს გაუგზავნია კაცი მსმალოს ხონტქართან და უთხოვნია, რომ ინგლისთან მიშუამდგომლედ და მოგვარიგეო.

### მოწოდება

მოწოდება სამღვდლო და საერო პირთა საქართველოს ეპარხიისათა კეთილ ნებობით შეწირულობისადმი აღსადგენელად ქართულის საეკლესიო გალობისა.

ძმანო და მამანო!

შოველთა ყუწყით, რომელ კარგი განწყობილი ეკლესიური გალობა, დროსა ღვთის მსახურებისა, აღძრავს გულთა შინა ჩვენთა უმაღლესსა გრძნობასა და ღმობიერებასა, და აღიტაცებს გონებასა ჩვენსა უზენაესისადმი, სადაცა მას დაუცხრომელითა ხშირთა უგალობენ გუნდნი ზეცისა ძალთანი და სადაც არს საუკუნო სამკვიდრებელი ჩვენი.

რათა გული და გონება მლოცველისა ეკლესიისა შინა არა განზნეულ იქმნენ სოფლისა ამოცბთა და მით რათა არა მოკლებულ იქმნას კაცი მადლსა ღვთისასა, წმინდათა მათთა პირველთავე საუკუნეთა შინა დაწვეს ღმობიერი, სულისა და გულისა დამატკობელი გალობა, რომელთაც იცოდენ ძალა სიტყვისა ამის, თქმულისა წმინდისა წინასწარ-მეტყველისა ღვთისა:

„ნეტარ არს ერი იგი, რომელმანც იცის გალობა შენი, შუალო!“

რასაკვირველია, სულთა განმამტკიცებელი ესე გალობა დაწესდა ძველადვე ეკლესიისასა შინა ჩვენსა. მარნა იმა დროთა განმავლობათ შინა, სხვათა და სხვათა გარემოებათა გამო, დაცემულ იქმნა, და თითქმის დაკარგული შემდგომ სიკვდილისა ჩვენთა მგალობელთა: დადისა შერონტისი, პატარა შერონტისა, არხიმანდრიტთა. სოფრონ (მრისთავეისა), თეოდოსე (ხელაშვილისა), თ. ნიკოლოზ სიციშვილისა, ბაორგი თაზიშვილისა, პეტრე ქარბელოვისა, დიდისა საბასი და საბა ჭლენტისა, მღვდელთ: სიმონ და ზოტაყე ინავეთა, (ესე ოთხნი პირნი იყვნენ ხორაასა შინა ბოდბის მიტრახპოლიტის იოანესსა), და სხვათა. მცირედი ნაბერწყალი გალობის ცოდნისა დაშთა

შვილსა ერთისა ზემო აღნიშნულთა მგალობელთაგანისა, სახელობ: პეტრე ქარბელოვისა, მღვდელს ბრიგოლ ქარბელოვს.

მაგრძნე რა ესრეთი დაკარგვა ძვირფასის ქართულის გალობისა, დროსა წინამძღვრობისა ჩემისა ხირსის მონასტერისა და ბოდბის წმინდის ნინოს სობორისა 1862 წელსა, მოვიწიე სიღნაღის უფზდის ბლაღოჩინები: დეკანოზი იოელ ნაცვალოვი, მღვდელი იოელ ხატივეი და ბრიგორ ლამბაროვი და მათთან მოვილაპარაკე ამ საგანზედ, რომელთაც გამოაცხადეს მხურვალე გულს-მოდგინება აღსადგენელად, რაოდენათაც შესაძლებელ იქნებოდა, ქართულის გალობისა.

ამა განზრახვით მათ მოიწიეს თვისნი ქვეშევრდომნი, სამღვდლო და საეკლესიო მსახურნი, და შეადგინეს შეწირულება ფულითა, რაიცა უნდა მისცემოდა ჯამაგირად გალობის მასწავლებელსა, რომელზედაც დანიშნული იქმნა ზემო აღნიშნული მღვდელი ბრიგორ ქარბელოვი, რომელიც სანოვაგით და სახლით დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო საკუთრად ჩემ-მიერ.

ამაზედ განაჩენი წარუდგინეთ ყოველის საქართველოს ეგარხოსს მალაყოვლად უსამღვდლოვს მესვეის, რომელმანცა დაამტკიცა იგი.

მარეთ, ბოდბის წმინდის ნინოს სობოროში დაიწყო სწავლება გალობისა მღვდელმა ბრიგორ ქარბელოვმა, რომელთანაც ყველა საბლაღოჩინოდგან მოვიდნენ რიგ-რიგით რაოდენსამე თვეობით პრიჩეტნიკები და სწავლობდნენ გალობასა. მრის წლის განმავლობაში სიღნაღის უფზდის პრიჩეტნიკთ ისწავლეს წესიერათ წირვის, მწუხრის და ცისკრის გალობა და ზოგთ სხვა-და-სხვა სძლის პირები და ტრუპარებიცა.

შემდეგ მღვდელი ქარბელოვი მეცადინეობითა ბლაღოჩინის დეკანოზის ბრიგოლ პავლიევისათა და სემენარის რეკტორის არხიმანდრიტის შიქტორინის გადმოყვანილ იქმნა ტფილისში და განწესებულ გალობის მასწავლებლად ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაცა დაჰყო მან ვიდრე ორს წლამდე. აქაცა ზოგიერთა ისწავლეს გალობა, გარნა როგორც ვხედავთ ენლა, გალობა ესე დროიდგან დრომდე კვლად იკარგება და ყოველი ხარჯი და შრომა ამოად რჩება. ხოლო მიზეზი ამისა არის ისა, რომ ჩვენს გალობას არა აქვს ნოტები; სწავლობენ გაგონებით და დროთა განმავლობასა შინა, კვლად ივიწყებენ, ანუ შემდომ სიკვდილისა მცოდნეთა პირთა იკარგება იგი.

მარეთმა გარემოებამ ჩვენ მოგვცა ჰაზრი რომ საფუძვლიანათ, აღვადგინოთ ჩვენი ეკლესიური გალობა, რაიცა აღსრულდება მაშინ, ოდეს მოვიწვევთ ყოველ ადგილით კარვათ მცოდნეთა პირთა, და მათის ურთიერთარს შეთანხმებით და აღრჩევით შევადგენთ ნოტებზედ გალობას.

მსრეთი ჰაზრი დიდის თანხმობით მიიღო მისმა ყოვლად-უსამღვდლოვსსა მობრის ეპისკოპოსმა პლექსანდრემ, და მის სისრულეში მოსაყვანად თავის მხრით შესწირა ორმოც-და-ათი თუმანი ტფილისის სემინარიის გამგეობასა.

ამ საფუძველზედ სემინარიის გამგეობამ შეადგინა განაჩენი, რომელიც დაამტკიცა ყოვლად უსამღვდლოვსმა საქართველოს ექსარხოსად მყოფმა მესვეიმ. ამა განაჩენისა-ებრ შესდგა კომისია ხუთთა სამღვდლოთა პირთაგან, რომლისა თავ-მჯდომარედ ვარ დანიშნული მე.

კომისია ესე შეუდგა თვისს მოქმედებას და მოაწვია ტფილისის მართლ-მადიდებელთ ეკლესიის (კრებულონი) სამღვდლო პირნი და სთხოვა მათ შემწეობის მიცემა ამ საქმისათვის და მათცა შესწირეს ყოველ თვეობით, რომელიც შესდგება თვეში ხუთს თუმნამდე. რასაკვირველია, შეწირულობა ესე არის ძალიან ცოტა, დასაკმაყოფილებლად ყოველთა მოთხოვნილებათა ამა საგნისათვის, ესე იგი რომ შესდგნენ ნოტები და ნოტებით გაიმართოს ზალა გალობისა სემინარიასა და სასულიერო სასწავლებელთა შინა.

ამისთვის მიემართავთ ყოველა ქართველთა, ეკლესიის სამღვდლოთა და საეროთა პირთა და ესთხოვთ უმაღლესად, რათა მოგვეცენ ამ საგნის სისრულეში მოყვანისათვის, შეძლებისამებრ, ფულით შემწეობა ერთ დროებით ანუ თვეობით, და თვისნი შეწირულობანი წარმოგზავნონ ტფილისში ჩემა სახელზედ, ანუ „დროებისა“, გინა „ივერის“ რედაქციებისა.

წამოგზავნილი ფული შეტანილ იქნება დროებით, დასაცველად, ბანკში. ხოლო შემწირველთა სახელები გამოცხადებულ იქმნებთან გახეთვებში, ისიც—თუ რა საგანზედ იქმნება მოხმარებული შემოწირულნი ფულნი.


არხიმანდრიტი მაკარი

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბოგბეი,** (ინდოეთი), 29 სექტემბერს. ამბობენ, რომ ღენ. ბეინერი ინიშნება ინგლისის 35,000 ჯარისაგან შემდგარ კორპუსის სარდლათაო. პეშავარში ამბობენ, რომ ომი ინგლისსა და ავგანისტანს შუა უეჭველად იქნებაო. პლიმუთსვიდს დიდრონი ზარბაზნებით ამაგრებენ. პეშავარში დიდ-ძალი ჯარები გაგზავნეს.

**ლონდონი,** 29 სექტემბერს. ზაზეთს „სტანდარს“ ძალკუტიდამ მოუვიდა ამბავი, რომ პეშავარის ატრიალს ბრძანება მოუვიდაო, რომ პლიმუთსვიდს დაე-



ცეს თავსაო. შევეითა ჯარი მთის ბატონით უკვე წავიდა ლაშქარში.

ლონდონი, 30 სექტემბერს. ბაზეთს „დაილი ნუსში“ იწერებინან: საინგლისონდოეთის მთავრობამ გარდაწყვიტა, რომ უცრად არ დაეცეს ალიმუსვიდს, რადგანაც ამ ოქტომბერში ვერ მოასწრებს თავის განზრახვას შესრულებას. ნოემბრისთვის არიან დიდს მზადებაში.

ბაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რუსის ელჩმა ლობანოვ-როსტოვსკიმ მოახსენა ხონტარსო, რომ, სანამ ოსმალეთი არ შეეკრება რუსეთს ცალკე პირობით იმ მუხლების თაობაზე, რომელთაც ბერლინის კონგრესი არ შეეხებო, მანამ ჩვენი ჯარი ადრიატიკისპირადაც არ გაუაო.

სტამბოლი, 22 სექტემბერს. ოსმალეთის მთავრობა ამზადებს ახალს ნოტას, რომელშიაც თხოულობს, რომ მოსპობილი იყოს ის მუხლი ბერლინის ტრაქტატისა, რომლის ძალითაც აესტრეილებმა ნოვო-ბაზარის სანჯაყი უნდა დაიჭირონ, რადგან ამ მაზრაში ხალხი ერთობ აღელვებულთა და აესტრეილებს უომოხელას ვერ მოითმენსო.

კატარბურლის ბიჩაჟა, 20 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოს.)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	96—75
მეორე — — — —	95—62
მესამე — — — —	95—62
მეოთხე — — — —	95—62
აღმოსავლეთის — —	92—86
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—22

თფილ. თავად-ან. ბანკის

გირაოს ფურცელი — — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — — —	234—50
მეორე სესხის — — —	229—50
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — —	24—4 პენსი
ამსტერდამი — — —	120—75 ცენტი
ბერლინი — — —	204— „ ჰენიგი
პარიჟი — — —	252— „ სანტიმი

### ბანსხალბანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან დოკუმტი—აქუშორი

### ნ. დ. გავრონსკი

დაბრუნდა თფილისში და მიიღებს ავთიმყოფებს ყოველ დღეს დილის 9 საათიდან 11 საათამდე გარდა კვირადღისა.

სახლი მისი: ბანოვის ქუჩაზე, № 7. ქამერჩესკის ბანკის გვერდით.

(3—1)

საპირსა სახლი უფროსი კოლეჯის დირექტორის სადგომად, იმის კანცოლარიისა და არხივისათვის და აზრითვე პაქარის კამანდისათვის.

ეს სახლი უნდა იყოს სადმე შეუგულ ქალაქში; იმას უნდა ჰქონდეს საჯინობა (კანოუნა) 36 ცხენის დასაყენებლად, დიდი ცხო და მოთავსებული დიდი ალყათის კარები.

თფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ სახლის-პატრონს, რომელთაც ჰქონდა ამ საჭროებისათვის სახლის გაქირავება, მოვიდნენ ბამგიობაში (უპრავეში) მომავალ დოკუმტის თვის 5 რიცხვამდე და ამასთანავე წარმოადგინონ თავიანთი დავერილებითი პირობები.

(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და თფილისსასულიერო სასწავლებელში. მანცივეთან ახალი წიგნი.

### ლექსთა კრება

თ. ბრიგოლ მრბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ შურცეოძისი, ივანე პერესელციისი, იოსებ ბაქრაძისი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა შასი ორი მაურთი.

გამოვიდა და ისყიდება

### მეექვსე კარი „შარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხიდზე, მირონოვის შენობაში, მხოლოდ ს. არტ. მართანოვის წიგნის მაღაზიაში.

შასი 40 კაპ.

მ. შურცელს შეუძლიან მიიღოს ამ წიგნის მაღაზიაში I, II, III, IV და V კარი „შარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა მეშვიდე კარი „შარამანიანისა“.

(3—3)

მიხელსონის სტამბაში, რომელიც იმყოფება ბალანინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში მიღებულია ყოველ ნაირი ახალი ქართული ურიქტი.

ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

რბ. ბზა.	ღილა.	ს.ლა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	18 1/2	კაპ.	8 კაპ.	მ. სიტყვა თფილ სიდამ:		თფილისი, 29 სექტემბ.		მრევ ს მადანზე, წ ნამძღვაროვის სასაღებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს . . . . .	1	შქ. თუო. ბანჯესა, ფო.	180	ავთიმყოფებს მიიღვენ ყოველს
ზორს	11 5	9 43	240	133	ზორს, ლუშეთს, სიღნაღა . . . . .	50	ფ ვლი წ-თელი . . . . .	155	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური	129	11 57	3 92	2 18	როსტოვი, ოდესს, მოსკოვი	2	ქერი ფოთი . . . . .	140	მ. რ შაბათს: მერმიშვი და ბა-
სტამბი	144		4 42	2 46	პეტერბურს, მარშაფას . . . . .	2	ბამბა მრევ ისა, ფუთი . . . . .	750	რადევირა—შინაგ. ავთ., ქიუჩარ-
ქუჩილი	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შევეიც-რიაში.	3	— ამერიკი ა, ფუთი . . . . .	850	რიანც—საჯარო ექიმი და საშვი-
რიონი	6 5		6 75	3 75	იტალია და სერნგეთი . . . . .	3 50	ბანკული ბამბა ფუთი . . . . .	10	ლოს ოპერაციები.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	მატყლი თუშური ფუთი . . . . .	8 50	სამ შაბათს: მერმიშვი — ში-
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	ფოკია		— თარაქამსა ფუთი . . . . .	4 50	ნ. გ. ა. ბ ხტოვი — საბეზო და ბაე-
ფოთი	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გართ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს, და ხლოშ. ოსურ. — პრასკ. და ორშ. პახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოსურეთს — ორშ. და პრასკ.		ქონს სანთლი ფუთი . . . . .	6 20	შვის, პეტრეოვი — თვალს.
ფოთი	9 3				წიგნის გაგზავნა რუკეთში და სამზღვარ გარეთ:		სტეარინის სანთელი, ფო. . . . .	8	მ. თხ შაბათი: მერმიშვი ში-
ახალ-სენაკი	10 14		1 18	66	ღია წიგნი . . . . .	4	ხორცო ძროხისა, ლიტ . . . . .	12 20	ნ. გ. ა. ბ ხტოვი — იკლიტიკუ-
სამტრედია	11 5		2 6	114	და ბეჭდილს (ს. მი მიხხალი) . . . . .	8	— ცხვრისა, ლიტოა . . . . .	81	რი და სპარდღ ორგანების.
რიონი	12 13		3 4	169			სპირტი ვედრო . . . . .	90	პარასკევს: მერმიშვი ვი-შინაგ.
ქუჩილი	1 18	ლაშ.	3 98	2 21			შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	4 80	ა. ბახტოვი — საბეზო ქალია და
სუამი	5 12		1 10	5 33			— ფენილი ფუთი . . . . .	7 40	ბაეშებ ს. . . . .
ხაშური	5 39		1 37	5 84			შავა გრვლი, გრვ . . . . .	6	შაბათს: მერმიშვი შინაგ., და
ზორი	7 5		4 87	36 4 9			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი . . . . .	14	პეტრეოვი — თვალისა
მცხეთა	8 50		6 59	9 8 5 4			თამბაქო, ს. შულო ფო. . . . .	6 15	
თფილ სი.	9 31		7 56	9 75 5 42					